

მეცემსი

1883-1889

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

«მწყემსი»	«მწყემსი» რუსული გამოცემით
12 თვეთი 5 მან.	12 თვეთი 6 მან.
6 — 3 —	6 — 4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Каврилы, Въ контору редакцїи „Мѣмесѣи“ (Пастырѣ).*

ყველა სტატიები და კორექსონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილი დასაბეჭდავად, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატიცა, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.


როგორ ეშველოს საქმეს?

შველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ მოთხოვნილებანი წარსულისა და აწმყოისა, ძველისა და ახალის დროისა სრულიად ერთი და იგივენი არ არიან. უწინდელი დრო ძლიერ მარტივი იყო და ყველაფერს მაშინ ესვა სიმარტივის მდაბიობის ბეჭედი. როგორც ადმინისტრაცია, ისე სამოსამართლო უწყებაც წარსულს ძველს დროში მესდებოდა ისე რთული არ ყოფილა, როგორც დღესაა. ძველათ მთელს ოლქში როგორც მმართველად, აგრეთვე სამართლის წარმოებისათვის სრულიად საკმაო იყო 2-3 კაცი, რომელთა შენახვაც ძლიერ იაფად უჯდებოდა ხაზინას, — დღეს კი იმავე ოლქს არ ყოფნის 20-30 მოხელე კაცი ასჯერ მეტი ჯამაგირებით. მეთ ხვენი თვალის წინ მოხდა პოლიციის წესწყობილებაში დიდი და შესანიშნავი ცვლილებანი; მაგალითისათვის შორს არ წავალთ: აიღეთ ეხლანდელი სამაზრო ოლ. ბოქაულეები, რომლებიც იღებენ 2000 მანეთამდე, ე. ი. სამჯერ იმაზე მეტს, რასაც წინეთ იღებდნ. ახალმა დრომ

მოითხოვა ახალი ცვლილებანი: აქედამ გაჩნდნენ და ჩნდებიან ახალი წესდებულებანი, ახალი თანამდებობანი და ახალი ხარჯები საერო უწყებაში.

მაგრამ ჩვენ სულ სხვას ვხედავთ სასულიერო უწყებაში: აქ ძლიერ იშვიათია ცვლილებანი, — და ზოგი დაწესებულებანი დღემდე როგორც მოსამსახურე პირთა რიცხვით, აგრეთვე წესწყობილებებით დღესაც შეუცვლელად იმ მდგომარეობაში არიან, როგორშიაც იყვნენ თვით დაარსების დროს, თუმცა ახლანდელი დროის მოთხოვნილებანი უფრო მრავალნიც არიან, რთულნიც და სხვა-და-სხვა ნაირნი. ცხადია, რომ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ძველიდგან დაარსებულ დაწესებულებათათვის ყოველად შეუძლებელი აღმოჩნდ და ითხოვს ახალ ზომათა და საშუალებათა გამოძებნას. ამ გეარ ძნელად — შესასრულებელ მოთხოვნილებათაგან ჩვენ მივაქცევთ მკითხველთა ყურადღებას მეტრიკული მოწმობების გამოტანის საქმეს საქართველო-იმერეთის სინოდალურის კანტორიდან.

აი ავერ 10 — 15 წელიწადია, რაც ჩვენ საზოგადოებაში ისმის საყვედური და დრტინვა ამ მოწმობათა გამოტანის გაჭირებისა და სიძნელისა გამო.



რაც დრო გადის ეს საყვედური და უკმაყოფილება ხალხისა ამ საქმის გამო თან-და-თან მატულობს. ეს ასეა — მაგრამ, საკვირველია, რომ აქამომდე ფიქრად არავის არ მოსდის ამ საქმის მიზეზის გამოკვლევა და ახსნა, თუ რატომა სჭირს ასე ამ მოწმობების მიღება ხსენებული კანტორიდან.

ღრო იყო, როდესაც მეტრიკულ მოწმობათა ხსენებაც არ იყო ჩვენში. მეცხრამეტე საუკუნემდის მთელ საქართველოში თითქმის არც კი იყო მეტრიკის წიგნები. როდესაც ობილისში დაარსდა სინოდის კანტორა — შემოიღეს ეკლესიის საბუთებიც — მეტრიკები და, ცოტახნის შემდეგ, — აღსარებითი სიებიც. მასაველეთ საქართველოში მეტრიკების შედგენა შემოიღეს 1826 წელში და აღსარებითი სიებისა 1839 წელს. მაგრამ როგორც ყოველს ახალს საქმეს სჩვევია საზოგადოდ, ეკლესიის საბუთების წაყვანასაც აკლდა პირველ ხანებში სისრულე, სისწორე და სინამდვილე, რადგან ბევრს არ ესმოდა ნამდვილი მნიშვნელობა მეტრიკებისა. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ თეთონ მღვდლებიც კი, რომლებიც რაღაც საშიშარს მნიშვნელობას აწერდნ ამ მეტრიკებს, — განგებ სტოვებდნ ბევრს ჩაუწერელად მეტრიკის წიგნებში, მათ რიცხვში თავის შეილებსაც კი სტოვებდნ. უნდა შევნიშნოთ, რომ, სანამ მეტრიკულ მოწმობათა მოთხოვნა არ დაიწყეს სხვა-და-სხვა დაწესებულებებში, — მათ მოპოვებას შინცა და შინც არავინ დაეძებდა და ადვილადაც ახერხებდნ უიმისოთ საქმეს. მაგრამ როცა დრო მოვიდა და ცხოვრებაში იცვალა ფერი, ეს მეტრიკებიც საჭირონი შეიქმნნ.

ძველ სასამართლოებში საჭიროების დროს კმაყოფილდებოდნ უბრალო ამოწერილობებითაც საეკლესიო საბუთებიდან, ოღონდ კი ეს ამოწერილობანი დაემოწმებია ადგილობრის მღვდელთ, მაგრამ როდესაც სასამართლოებში დიდი ცვლილება მოხდა და ძირეულად შეიცვალა ძველი წესები, — ამ გვარმა ამოწერილობებმა დაჰკარგეს ყოველი მნიშვნელობა და საჭირო შეიქმნნ კანტორიდან გამოტანილი მეტრიკული მოწმობები. ამ ნაირად კანტორას მიაწყდა აუარებელი თხოვნები მოწმობების გამოსატანად. ამ თხოვნათა რიცხვი სულ თან-და-თან მატულობს ამ ბოლოს, და რაც ჯარის კაცთა გაყენა და სამხედრო გადასახადი შემოვიდა ჩვენში, ამ გვარ თხოვნათა რიცხვმა კანტორაში დიდად გადააჭარბა ყოველს მოლოდინს, რადგან ერთ დროში სამხედრო დაწესე-

ბულებანი ეკლესიის მეტრიკის წიგნიდან მღვდლის დამოწმებულს ამოწერილობას არ აძლევდა არავითარს მნიშვნელობას. მანტორიდან გამოტანილ მეტრიკულ მოწმობათა თხოვნა დაიწყეს სასწავლებლებშიაც მოსწავლეთაგან.

ამ ნაირად წელიწადში მეტრიკულ მოწმობათა მოთხოვნების რიცხვი კანტორაში დღეს აღის წელიწადში 4000-მდე, — და ეს თხოვნები შედის იმერეთის განყოფილებაში. მოსამსახურეთა შტატი კი ამ განყოფილებაში დღემდე დასებისა შეუცვლელად არის დღესაც.

მეტრიკის მოთხოვნებთა რიცხვმა დღეს ერთი ასად იმატა კიდევ ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა კრების ერთი განკარგულებისა გამო. ეს განკარგულება ითხოვს, რომ თავად-აზნაურთა, რომელნიც საგვარტომო წიგნში ჩაუწერელნი დარჩენილან 1847 წლიდან, უნდა წარადგინონ მეტრიკის მოწმობები კანტორიდან. აი ის უწყებაც შეუცვლელად, რომელიც დეპუტატთა კრებას გაუგზავნია თავად-აზნაურთათვის მარტო ოთხი მაზრისა — ქუთაისის, შორაპნის, რაჭის და მზურგეთის — სულ 1200 ცალი:

«ქუთაისის აზნაურთა დეპუტატთა კრება, შეუდგარა გვარტომობის წიგნის შედგენას, თანახმად 1101 და 1107 მუხ. მეცხრე ტომისა (გამოც. 1876 წ.), გაუწყებთ თქვენ, რათა მიღებისა შემდეგ ამა უწყებისა, ექვსი თვის განმავლობაში წარმოადგინოთ საბუთები და ცნობები, ე. ი. აზნაურობის წოდების პროტოკოლის პირი, გატანილი დეპუტატთა კრებიდან, ჯეროვანი მეტრიჩესკი შობისა და მონათვლისა იმ პირთა, რომელნიც დაბადებულან შემდგომ თავად-აზნაურთა კომისიის დახურვისა, ე. ი. 1847 წლისა. და სახელი თქვენი მეუღლისა და მისი მამისა.

მა ზემო მოყვანილი საბუთები და ცნობები, თანახმად 1109 მუხ. იმავე მეცხრე ტომისა, მოვალე ხართ წარმოადგინოთ ზემო მოხსენებულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩებით ჩაუწერელი გვარტომობის წიგნში და მოკლებულ იქნებით მიიღოთ ამა კრებიდან და აგრეთვე მაზრის აზნაურთა წინამძღოლთაგან რაიმე დამატაცივებელი თქვენი ღირსებისა მოწმობა».

ყოველს ოჯახში აღმოჩნდება თითქმის 8-მდი ისეთი პირი, რომელთაც უნდა მიიღონ მეტრიკის



მოწმობა—და აი მარტო ამ საქმის გამო უნდა შევიდეს კანტორაში 9600 თხოვნა!

როგორც მკითხველი ხედავს, თავად-აზნაურთა კრებისაგან ითხოვება აზნაურობისაგან მოწმობის წარმოდგენა ექვსი თვის განმავლობაში დღივად უწყების ჩაბარებისა. ამდენი თხოვნის დაკმაყოფილება კანტორისაგან არა თუ ექვს თვეს, რამოდენიმე წელსაც მოითხოვს, თუ მოსამსახურეთა შტატი არ გადიდდა. ამ საქმეს ძლიერ შეაფერხებს რა დაავიანებს კიდევ ის გარემოებაც, რომ მრავალი მთხოვნელთაგანი ალბათ არ არიან ჩაწერილი მეტრიკის წიგნებში—და მათი საქმე უნდა აიხსნას ადგილობრივი გამოძიებით ბლალოჩინებისაგან. მაგრამ ამ გამოძიების მოსახდენად, როგორც ყველამ იცის, საჭიროა დრო, კაცი და ფულები...

ჩვენ როგორც ვიცით,—კანტორაში კიდევაც იყო აღძრული კითხვა მოსამსახურეთა შტატის გადიდებაზე და შუამდგომლობაც გაიგზავნა, ვისგანაც ჯერ არს ამასვე უწმიდეს სინოდში, მაგრამ, რადგან საშვალეება ვერსად აღმოაჩინეს ახალ პირთა ჯამაგირისთვის,—ეს საქმე დაჩა ალუსრულებელი. საზოგადოება კი, რომელიც ასე მოუთმენლად და საჩქაროდ თხოულობს მეტრიკის მიცემას კანტორიდან, ჯერ-ჯერობით არავითარს ზომას არ ხმარობს ამ საქმის შესამსუბუქებლად. ჩვენი საზოგადოება მაინც მიჩვეულია სასულიერო დაწესებულებათაგან ყველაფერი თხოვნის მუქთად დაკმაყოფილებას, თითქო და მართლა ვალდებული არიან ეს დაწესებულებანი უსასყიდლოთ აასრულონ ყოველი მათი მოთხოვნისა. ესეთი შეხედულება აქვს, საუბედუროთ, უფრო თავად-აზნაურთა. მინ არ იცის, რომ ეკლესიის კრებულთა შესანახავი გადასახადი შემოაქვსთ მარტო გლეხებს,—თავად-აზნაურნი კი თავისუფალნი არიან ყოველივე სავალდებულო გადასახადისაგან სამღვდლოებისათვის, მღვდელ-მოქმედების ასრულება თურამე დასჭირდებათ—რასაც გაჩუქებს, მით უნდა იყო კმაყოფილი, რადგან შესაძლოა სულაც არაფერი გაჩუქოს!

მრთი რამ გვაკვირებს ჩვენ კიდევ,—მეტრიკის

მოწმობის მთხოვნელები კანტორაში არავითარს ხარჯს არ იხდიან კანცელარიის სასარგებლოდ, მაშინ როდესაც სხვა დაწესებულებებში ყოველგან ყოველი ქალაქის გამოტანაზე,—ცნობა რამე, პირი, თუ მოწმობა და სხვ...—დაწესებული ფული უნდა შეიტანოს კანცელარიის სასარგებლოთ,—თუნდაც ეს ქალაქები სულ მარტო 2-3 სტრიქონიდან შესდგებოდეს.

რაც ვსთქვით, აქედამ ცხადად სჩანს, რომ, თუ საზოგადოება და თავად-აზნაურობა თვითონ არ მიეშველა, კანტორისაგან ამდენი აუარებელი თხოვნების დაკმაყოფილება ყოველად შეუძლებელია თავის დროზე. მაგრამ რაში უნდა მდგომარეობდეს ეს მიშველება? როგორ უნდა ეშველოს საქმეს? ამასვე მოითქვით თვითონ საზოგადოებამ; მაგრამ ჩვენის მხრით დარწმუნებული ვართ, რომ კანტორის მიშველება შეუძლია ამ შემთხვევაში საზოგადოების თავისთავზე მიღებით იმ პირთა შესანახავი ფულისა, რომელიც უნდა მოემატონ დღევანდელს შტატს აუარებელ და ურიცხვ თხოვნათა დასაკმაყოფილებლად,—ან უნდა დაწესდეს ფული კანცელარიის ხარჯათ, რომელიც თვითეულმა მთხოვნელმა უნდა წარადგინოს თხოვნასთან ერთად, მსგავსად სხვა დაწესებულებათა.

რამდენათაც ვიცით, თვითონ საზოგადოება და მთხოვნელები დიდის კმაყოფილებით გამოიღებენ ყოველ საჭირო ხარჯს, ოღონდ კი დროზე მიიღონ მეტრიკის მოწმობები. ღვაუტატთა კრებას, ჩვენის აზრით, ადვილად შეუძლია ამ საქმეში საზოგადოების ხელმძღვანელობა და საქმის შევლა.

დკ. დ. ლამაშიძე.

მ წ ა რ ე შ ი ძ რ ე ბ ი .

(სად არის თბილისის შესანიშნავი არმიის (ჯარის) ტაძარი? სად არიან მასწავლებლები? აქსიომა!)

21 ამ მაისს ჩვენ გავიარეთ დილის ცხრა საათზედ ალექსანდროვის ბაღში. ეს ბაღი ამ დროს სულ გატენილი იყო ჯარით. ამ დღეს დღესასწაულობენ დასავლეთის კავკასიის დამორჩილებას. მართლაც, სადღესასწაულოა ამ მხარის დამორჩილება დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ. მშვენიერი დასახედაფი იყო ეკლესიის გარეშე მოადგილები, სადაც დამწკრივებული იყო აუარებელი ჯარი ქვეითისა, არტილერიისა და ყაზახებისა თავიანთი მამაცი აფიცრებითა. რისთვის შეკრებილა ეს ჯარი აქ? მისთვის, რომ აქ, არმიის საკრებულო ტაძარში მადლობა შესწიროს უფალსა დასავლეთი კავკასიის დამორჩალებსათვის. მრავალნი ჰკითხულობდნ: სად არის არმიის საკრებულო ტაძარი და ყველანი უჩვენებენ თითოთ ერთ შენობას: «აი! კავკასიის არმიის ტაძარი». თქვენ გჩვენებენ ერთ უბრალო სახლის მსგავს დაბალ შენობას, რომელსაც სიმაღლე აქვს ოთხი თუ ხუთი არშინი, სიგრძით ოც არშინზე ცოტამეტია და სიგანით თორმეტი არშინი. ზარების ხმა გესმისთ და ერთი დიდი ზარა სწორედ რუსეთის ეკლესიების ზარებს მოგაგონებსთ. ეს დიდი ზარა და სხვებიც ჰკიდიან ორ დაბალ სვეტზე, ამისათვის ამ ზარების ხმა ბალს გარედ თითქმის არავის არ ესმის. აი გამოვიდა ეკლესიის წინამძღვარი, რომლის მკერდი დაფარულია სხვა-და-სხვა ვარსკვლავებით და განსხვავებული სამსახურის ნიშნებით და თავი შემკული აქვს მშვენიერა მიტრით. ბაკვირებული ეკითხები შენ თავს: ეს წინამძღვარი მსახურებს ამ შეუფერებელ შენობაში აგერ ოც-და-ათი წელიწადი და როგორ კადრულობს ამისთანა შენობაში წირვა-ლოცვას? ნუ თუ ეკლესიას იმდენი შემოსავალი არ ჰქონდა ამოდენა ხნის განმავლობაში, რომ ერთი რიგიანი ხის ეკლესია მაინც აშენებულიყო?

მრთხელ, როგორც გვახსოვს, ეს ეკლესია გაუფრთხილებულობისა გამო დაიწვა. მააკეთეს ხელახ-

ლი, მაგრამ ნამდვილად მზგავსი პირველისა, ასე რომ არც სიმაღლეს და არც სიგრძე-სიგანეს არახფერი არა მოუმატეს რა.

სწორეთ საკვირველია კაცის ხასიათი: რასაც მიჩვევა, იგი ცუდიც რომ იყოს, მაინც მოსწონს. რუსეთის შინაგან გუბერნიებში არავის არ მისცემენ ნებას, რომ ამისთანა შეუფერებელს შენობაში წირვა-ლოცვა აღასრულონ. ძავეკასიაში კი ეს უბრალო შენობა «არმის სობოროდ» იწოდება! ბეიკვირს, რომ კავკასიის ძღვევა-მოსილ ჯარს ამისთანა უბრალო შენობა აქვს ეკლესიად და უკეთესის აღშენება ვერ მოუხერხებია. ეს ფაქტი სწორედ სამწუხარო და დასაფიქრებელია მით უმეტეს, რომ ამ ეკლესიას დიდი შემოსავალი აქვს წმინდა სანთლისაგან.

რუსეთის ძღვევა-შემოსილ ჯარს ამისთანა ეკლესია არა თუ ტფილისში, ამ საქართველოს დედა ქალაქში, არამედ დროებით და განაპირა მიყრუებულ ადგილებშიადაც არ ეკუთვნის...

* *

ამ ეკლესიიდან წავედით წირვის მოსასმენად ერთ ეკლესიაშიდ, სადაც პატარაობიდან მიჩვეული ვიყავით წირვა-ლოცვის მოსმენას. ამ ეკლესიაშიდ ყოველთვის მლოცველების გულს და გრძობას ატკობს კარგად გაწყობილი რუსული და ქართული გალობა. პატივი და დიდება ამ მასწავლებლის უფროსს, რომელიც ნიადაგ ფიქრობს ვაამშვენოს ეკლესია და დააკმაყოფილოს ორივე ტომის გრძობა და სურვილი ქართველებისაც და რუსებისაც. ამ ეკლესიაშიდ სწორედ თქვენ გრძობას ატკობს მშვენიერად გაწყობილი წირვა-ლოცვა. ეკლესიაში თქვენ ხედავთ წირვა-ლოცვაზე ყოველთვის აუარებელ ხალხს, ყველა მოსწავლეებს თავიანთ ინსპექტორით. ნეტავი, სად არიან მასწავლებლები? მათ ძვირად დაინახავთ ეკლესიაშიდ. სწორედ ეს სამწუხარო და დასაფიქრებელი მოვლენაა.

* *

წირვა გათავდა, მაგრამ ჩვენს გულს კიდევ იზიდავდა წირვის მოსასმენად სიონის ტაძარი, რომელშიაც ღვთის-მსახურება ყველა მსმენელებზე რაღაცა გასაოცარ შთაბეჭდილებას სტოვებს. სიონში მივედით ჩვენ იმ დროს, როდესაც მისმა მაღალ ყოველად უსამღდელოესობამ ერთ სამღვდელი პირზე ხელ-დასხმის დროს წარმოსთქვა:

„მადლი უფლისა, რომელი უძღურებათა ჩვენ-
თა ჰკურნებს...“

აი, წამი, როდესაც ყველანი მხურვალე გულით
უნდა შევედრონ ღმერთსა, რათა მოენიჭოს
სამღვდელო პირს მადლი სულისა წმიდისა თა-
ვის მიმე მოვალეობის ღირსეულად აღსრულებისა-
თვის, მაგრამ ხალხს, სამწუხაროდ, კარგად არ ესმის
შინაარსი ამ მშვენიერი და დიდ-შინიშნელობიანი
სიტყვებისა.

* *

ამავე ეკლესიაში აკურთხეს დეკანოზად ერთი
სოფლის მღვდელი. ეს მღვდელი დღიღგან მღვდლო-
ბის ხარისხის მიღებისა, ორმოც წელიწადზედ მეტი
ერთ სამრევლოში მსახურებს. სხვა დამსახურებაც რომ
არა ჰქონოდა რა მას, მარტო ამისათვისაც სწორედ დასა-
ჯილდოებელი იყო იგი. ორმოც-და-ხუთ წელიწადს
ერთსა და იგივე სოფლის სამწყსოში დარჩენა და თა-
ვისი ხვედრით დაკმაყოფილება სწორედ საქები თვი-
სებაა მწყემსისა. აი, სწორედ ამისთანა მწყემსს შეუძლია
იცოდეს თავის სამწყსოს თითოეული წევრი-
ქმშარიტად იცნო და დააფასა კეთილმა მწყემს-მთა-
ვარმა ამ მღვდლის ამდენი ხნის სამსახური და უთ-
ხრა მას «აქსიოს». სამწუხაროდ ყველას არ ხედება
ამისთანა იღბალი. ჭველას სამსახური არ ინიშნება
მიყრუებულ ადგილებში. მრავალნი მსახურებენ ერთ-
გულად, სიყვარულობით, დიდი ჭირის დათმენით ოცი,
ოცდაათი, ორმოცი და ორმოც-და-ათი წელიწადი,
მაგრამ ზოგს მათგანს ნაბედრენიკიც კი არა აქვს.
რისთვის? მისთვის, რომ იგინი დაშორებულნი არიან
ეპარქიის ქალაქს და მათი ერთგული სამსახური არ ფას-
დება ისე, როგორც ეპარქია ქალაქზე დაახლოვე-
ბულ პირთა, რომელთაც არაერთაობე უპირატესობა
არა აქვსთ ზოგიერთ სოფლის მწყემსთა თანა შედარებით.
ამ შემთხვევაში უმეტესად დამნაშავენი არიან ბლალ-
ჩინები, რომელთა წარდგინებით ხშირად იღებენ ჯი-
ლდოს ზოგიერთები დაუმსახურებლად საზოგადოე-
ბის ვასაკვირებლად და თავიანთ მოძქეთა საზურველად
და უკმაყოფილებათა დასათესად...

«მწუხისი»-ს კორუმპოლენცია.

კიდევ ორიოდე სიტყვა ახლად გარდაცვალებულ სო-
ხუმის ეპისკოპოსს გენნადიზედ.

თუმცა ბევრი რამ იყო ნათქვამი თქვენს პატიე-
ცემულ გაზეთს «მწყემს»-ში სოხუმის აწ განსვენე-
ბულ ეპისკოპოსს ზენნადიზედ, მაგრამ იმედი მაქვს,
რომ რედაქცია მცირე ადგილს დაუთმობს გაზეთში
ამ ჩემს შენიშნესაც განსვენებული ზენნადის მოღვა-
წეობაზე.

სოხუმის ეპარქიის საეკლესიო მოსამსახურენი
და მთელი საზოგადოება დიდს სიხარულით მოვე-
ლოდით ძრისტეს აღდგომას, მაგრამ ესრეთი ჩვენი
სიხარული მწუხარებად შეიცვალა. ამ მწუხარების
მიზეზი გახლდათ ჩვენი პატიეცემული ყოვლად სამღვდე-
ლო ზენნადის მოულოდნელი გარდაცვალება. შემდეგ
ოთხი დღის ავადყოფობისა, როგორც მკითხველებმა
უკვე იციან, ყოვლად სამღვდელო გარდაიცვალა 31
მარტს. ზანსვენებულის გარდაცვალებამ თავხარი დას-
ცა როგორც სამღვდელოებას, ისე მთელი სუხუმის
ეპარქიის მკვიდრთა. ანუ ვის არ შეაწუხებდა განსვენ-
ებულის გარდაცვალება? იგი იყო ნამდვილი მამა
თავის სამწყსოსათვის. ზანსვენებული ზენნადი თავი-
სი უმანკო ცხოვრებით სწორეთ ანგელოზებრივი კაცი
იყო; მასთან იგი იყო კაცთ-მოყვარე, უხვი და შემ-
ბრალე. ზანსვენებული იყო ფრიად გონიერი მმართ-
ველი მისდამი რწმუნებული ეპარქიისა. ჰოველივე
ღვთის-მსახურებას იგი ასრულებდა მტკიცედ და
უდაბნოს წესისაებრ. ზანსვენებულის მოღვაწეო-
ბას მოწმობენ საქმენი მისნი, რომელნიც ღღეს ყვე-
ლას თვალწინ აქვს. ორი წლის განმავლობაში გან-
სვენებულმა ყოვლად სამღვდელო ზენნადიმ დიდი
სარგებლობა მოუტანა თავის ეპარქიას. ღღე და ღამე
განსვენებული მისდამი რწმუნებული ეპარქიის ეკლე-
სიების და მათში მოსამსახურე სამღვდელოების ღღე-
კეთილობაზე ფიქრობდა. ზანსვენებული მოწადინე-
ბული იყო გავერცელებია ხალხში სწავლა-განათლე-

ბა, შეემკო და გაემშვენებია ეკლესიები და ნივთიერად გაეუმჯობესებია მისი სამღვდლოების მდგომარეობა. ამ ცვლილებათა მოხდენის შესახებ მრავალი წარდგინებანი გაიგზავნა ყოვლად სამღვდლოსაგან, სადაც ჯერ იყო, და თუმცა განსვენებული თვითონ ვერ მოესწრო თავის შუამავლობათა განხორციელებას, მაგრამ, იმედია, ეს წარდგინებანი უყურადღებოდ არ იქმნებიან დატოვებულნი უმალესი სასულიერო მთავრობისაგან. მლითი დღე მშვენდებოდენ ეკლესიები და მრავლდებოდენ სამრევლო სკოლები.

ზანსვენებულის ჯანმრთელობაზე მეტად ცუდი ზედგავლენა იქონია აფხაზეთის მძიმე და ალაგ-ალაგ დამპყლმა აერმა. ცუდმა აერმა და ძლიერმა შრომამ მეტად დაასუსტა იგი. თუმცა განსვენებულს კუჭის ავად-მყოფობა ჰქონდა, მაგრამ იგი სამარხო საკმლის მეტს არასფერს არ იღებდა. ამ ავად-მყოფობას ზედ დაერთო ციება. მღეს რომ გაეციებია განსვენებულისათვის, მეორე დღეს იგი მზად იყო წასულიყო რომელიმე ეკლესიის დასახედავად, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვდა. წარსულ წელში განსვენებული ზენნადი რევიზიის დროს ცოცხალ-მკვდარი ჩამოიყვანეს ცხენიდან და თითქმის უსულგულო დააწინეს ლოგინში. როცა განსვენებული ცოტა მოსულიერდა, ამოიოხრა და სთქვა: «ოხ, მოსკოვის მცხოვრები სად ჩამოვარდი». შველანი ურჩევდენ განსვენებულს, რომ იგი მორიდებოდა და არ მიელო სამარხო საკმელები ხსნილში მაინც, მაგრამ იგი მზად იყო გამოთხოვებოდა ამ წუთი სოფელს, ვინემ დაერღვია რომელიმე დადგენილობა წმიდა ეკლესიისა.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ყოვლად კეთილო და მოწყალეო მწყემს-მთავარო ზენნადი. თუმცა შენ არ ეკუთვნოდი შთამამავლობით შენდამი რწმუნებული ეპარქიის მკვიდრთა, მაგრამ ორი წლის მათში სამსახურით და სასარგებლო მოღვაწეობით შენ დაუფიწყარი შეიქმენი მათ გულში...

ერთი მისიონერთაგანი.

«მწუმსი»-ს კორკმსკოლმენი

აფხაზეთიდან.

წრეულს აფხაზეთშიაც დაწვეს ჯარში გასაწვევ ახალ-გაზდათა სიების შედგენა, რადგან ამ შემოგომილამ აქაც შემოღებული იქმნება სამხედრო ბეგარა. უმალესი მთავრობის ესრეთი განკარგულება აფხაზეთმა მშვიდობიანად მიიღეს. მხოლოდ ამავე განკარგულებამ, რომლის ძალით სოხუმის ოლქში მცხოვრებ მაჰმადიან-აფხაზებს ჯარში გაყვანის მაგიერად ფულით გარდასახადი დაადგეს, — ცოტადენი უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა ზოგიერთი აფხაზები აღიარებენ მაჰმადიანობას, მაგრამ იგინი შესამჩნევად განსხვავდებიან თანატოკ მოსლემანთაგან. მაინცა და მაინც აფხაზებს ძვალსა და რბილში გამჯდარი არა აქვსთ არც ქრისტიანობა და არც მაჰმადიანობა. ამიტომაც აფხაზისათვის სარწმუნოების გამოცვლა ძნელ საქმეს არ შეადგენს. მთელს ოჩამჩირის საბლალოჩინო მაზრაში, ორი სამრევლოის გარდა, მტკიცედ გაიდგა ფესვი მართლ-მადიდებელმა სარწმუნოებამ და სრულიად განაძევა მაჰმადიანობა ამ მაზრიდამ, ასე რომ დღეს ამ მაზრის სამრევლოებში სულ ორიოდღე პირი თუ მოიპოვება მაჰმადის აღსარებისა. აქ დღესაც ხშირი მოვლენა არის, რომ ერთსა და იგივე ოჯახში ზოგი მონათლულია და ზოგი არა. მართს ოჯახში დედ-მამა მონათლულია, ხოლო შვილები არა; ცოლი მონათლულია, ხოლო ქმარი მაჰმადიანი. მართი დედ-მამის შვილებში ზოგი მონათლულია და ზოგი არა. აფხაზების ესრეთი სარწმუნოებრივი მდგომარეობა აძნელებს სამხედრო ბეგრის საქმის სისრულეში მოყვანას. მართსა და იმავე სოფელში ზოგიერთი ოჯახიდან უნდა გაიყვანონ ახალ-გაზდები სალდათათ, ხოლო ზოგიერთი ოჯახები, რადგან მაჰმადიანობას აღიარებენ, ფულის გადახდით იცილებენ თავიდგან ამ ბეგარას; ერთ ძმას ხედება ჯარში გასვლა, ხოლო მეორემ ფული უნდა გადინხადოს. შველას საადვილოდ მიანჩია ფულის გადახდა, ვინემ ჯარში გასვლა. მს გარემოება ერთსა და იმა-



ვე სოფლის მცხოვრებთა და ერთსა და იგივე ოჯახის წევრთა შორის, ახდენს შურს და მტრობასა. რაკი აქაც შემოიღეს სამხედრო ბეგარა. შეველა აფხაზნი, სარწმუნოების განურჩევლად, უნდა გაეყვანათ ჯარში. აფხაზები ამბობენ: «თუ ზოგიერთნი ფულის გადახდით იცილებენ თავიდან სამხედრო ბეგარას, ჩვენ რალა დავაშავეთ? ჩვენც მზად ვართ ჯარში გასვლის მაგიერად ფული გადავიხადოთ, და თუ ეს შეუძლებელია, მაშინ თათრობას დაუბრუნდებით; ჩვენ გვევანა, რომ რუსეთის სახელმწიფოში უპირატესობა ქრისტიანობას ეჭირა, მაგრამ, როგორცა სხანსეს უპირატესობა მაჰმადიანებსა ჰქონებია, ამიტომ დღეიდგან ჩვენს შვილებს მაინც აღარ მოენათლავთ. რიგია, რომ ამ სამწუხარო მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, თორემ ეს საქმე ძალიან შეაფერხებს აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეს. დღეიდამ არამც თუ აღარავინ აღარ მოინათლებად, მონათლულნიც მიატოვებენ ქრისტიანობას.

მჩამხირის საბლალოჩინოს სამღვდლოებას განზრახვა აქვს დანიშნოს კრება და მოილაპარაკოს ამ საქმის შეჩაბებ და თხოვნა მიართვას უმაღლესს სასულიერო მთავრობას. მოახერხებს ამას აქაური სამღვდლოება, თუ არა ეს ნამდვილად არ ვიცით; მაგრამ ის კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამღვდლოების ამ გვარ დადგენილობას ნამდვილ საფუძვლიანად იცნობს ყოველი ის პირი, ვინც დაახლოვებით იცნობს აფხაზების დღევანდელს სარწმუნოებრივ მდგომარეობას და ყოფა-ცხოვრებას.

მღვ. პარმენ ფაჩვიშვილი.

«მწუხმსი»-ს კორრესპონდენცია.

გორის მაზრიდან.

ს. შარელიდან სამხრეთით, რვა-ცხრა ვერსის მანძილზე, მთაში აგებულია ერთი ეკლესია წმ. მოწა-

მე ზიორგის სახელზე. შოველ წლობით 23-ს აპრილს და 10 ნოემბერს ამ ეკლესიაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან დაიარება დიდ ძალი მლოცველი ხალხი, რომელსაც მრავალი ოთხფეხი ზვარაკი მოჰყავს ეკლესიის შესაწირავად. წელიწადი არ გავა, რომ ორასი სული ცხვარი, კურო, ხბო ანუ ბატკანი არ შეეწიროს ტაძარს. შეწირულს ზვარაკს შემწირველი ეკლესიის დაახლოვებით ჰქლამს, აქედგენ ტყავს, თავს და ბეჭს მღვდელს და მისს კრებულს აძლევს, დანარჩენს კი თვითონ იქვე თავის საჭიროებისათვის ხმარობს. . . შემეტესი ნაწილი მლოცველებისა სწირავს ეკლესიას ფულს. აქედგან ცხადია, რომ ეკლესიას კაი შემოსავალი აქვს მლოცველებისაგან, მაგრამ ტაძარი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არის. მე დღეს მსურს გაუზიარო მკითხველებს ის, რაც მინახავს და რაც გამოვიჩინა ამ ტაძრის შესახებ ხალხში.

სარკის წმიდა მთავარ-მოწამე ზიორგის ეკლესიის შენობა პატარაა. შუინდელს დროში ეს ეკლესია ყოფილა საკათედრო ტაძრად. ამავე ტაძართან ჰქონებიათ საცხოვრებელი ადგილი ეპისკოპოსებსა (აქაური ეპისკოპოსები ყოველთვის თ. სიციშვილთა გვარისანი ყოფილან ხალმე). აქვე ყოფილა უდაბნო ბერ-მონაზონთათვის, რომელთაც ჰქონებიათ გამართული სასწავლებელი.

საუბედუროდ, საქართველოს დაუძინებელ მტერს პერსიელებს ეს წმიდა ადგილიც მიუგნიათ, აუოხრებიათ, მეუდაბნოვენი წარუხოციან და რამოდენიმე მოწაფეთაგანი ტყვეთ წაუყვანიათ. ამ ტყვეთა შორის მოჰყოლია მცირე წლოვანი თ. სიციშვილი. თ. სიციშვილი მტრებს მიუყვანიათ თეირანში და დაუწყიათ მისი ზრდა თავიანთ წესზე. ტყვეობაში ყმაწვილი მეტად დაღონებული ყოფილა, მაგრამ ერთ დღეს ყმაწვილს ნაღვლიანობა და დარდი ჩვეულებრივზე მეტად ღამწეცა. შმაწვილის აღმზრდელთ გამოუკითხავსთ მისთვის ესრეთი კმუნვის მიზეზი. მცირეწლოვან ტყვეს შემდგეი უპასუხნია მტერთათვის: «დღეს არის იმ წმიდა ტაძრის დღესასწაული, საიდგანაც მე აქ წამომიყვანეს. მხლა მრავალი მლოცვე-

ლი იქმნება იქ შეგროვილი. მე მომაგონდა იქაურობა და მისთვის დაელონდი». აღმზრდელებს დაცნობით მიუგიათ ყმაწვილისათვის: «თუ ის ტაძარი კარგი სასწავლო-მომკმედი ყოფილიყო, შენ გიმეგლიდა და ტყვედ არ გადაგკარგავდა». ამ სიტყვების გაგონებაზე, ყმაწვილი კიდევ მეტად დალონებულა. ლეთის შემწეობით ამ ყმაწვილს დაუხსნია თავი მტერთაგან და სამშობლოში დაბრუნებულა. სამშობლოში მოსვლისათანავე ყმაწვილს თავის წმიდა ტაძარი დაუთვალა, მაგრამ მშვენიერი ტაძრის და სენაკების ნაცვლად, მას დახვედრია მარტო ქვითკრის კედლების ნანგრევები. ყმაწვილი ძალიან შეწუხებულა. ბოლოს დაუწყია მეცადინობა ახალი ტაძრის აგებისათვის, და აწინდელი ტაძარი აუგია ამ ადგილს.

ადგილი, რომელზედაც ეს ეკლესია არის აგებული, მეტად მშვენიერია. წარმოიდგინეთ უდაბურ ტყეში მაღალი სერის შუა ვაკე მინდორი ოთხივე მხრით უდაბური ტყით შემოზღუდული, იქვე წმიდა მთიური ანკარა წყარო, სუფთა ჰაერი და ეს ყოველივე ედემის სახესა სდებს ამ წმიდა ადგილს.

ეკლესია აგებულია ძველ სტილზე; აქვს ვიწრო ფანჯრები, რაისა გამო ეკლესიაში ძალიან ბნელა. როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, ესრეთი შემოსავლიანი ტაძარი ღირსეულად არ არის მოვლილი და შენახული. მაგრამ დღეს, როგორც ჩვენის თვალით ვნახეთ, ბლალაჩინს მამა ნ. მცხეთაძეს, რომლის სამრევლოც არის ეს ტაძარი, დაუწყია ტაძრის გასუფთავება და სცდილობს ჯეროვანად მოართოს იგი. იმედა, რომ მამა ნიკოლოზი ამ საქმეს ღირსეულად შეასრულებს. აგრეთვე ურიგო არ იქმნება, ჩვენის აზრით, ყურადღება მიაქციონ, რომ ეკლესიის წინ წიჩრისა და სხვა-და-სხვა მღვდელ-მოქმედების შესრულების დროს ადგილი არ ექმნეს სიმღერას, თამაშს, კიანურის და საკრავების ბრახუნს და მასთანავე სხვა-და-სხვა საწერიბლოების ვაჭრობას, ვინაიდან მეტი მეტი ხმარურობისაგან ხალხს ეკლესიაში სრულებით

არ ესმის მღვდლის ხმა და გალობა. ასეთი დროების გატარება შეიძლება სხვა ადგილს, რომელიც საძებნელად არ დასჭირდება მსუქველს.

გიორგი ტყეშელაძე.



ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

კრებული არითმეტიკის ამოცანებისა და სავარჯიშო მოქმედებათა წარმოების მასალებისა, შედგენილი ა. ნატროვეისაგან სახმარებლად საერო და საეკლესიო-სამრევლო სკოლებში; აგრეთვე სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელს პირველს ორ განყოფილებაში. თფილისი, 1889 წ., ფასი 35 კ.

მთ უმთავრეს საგნად პირველ დაწყებით სკოლებში ითვლება ელემენტარული არითმეტიკა. ამ საგანს ხსენებულს სასწავლებლებში თავდა-პირველად ასწავლიდნენ მეტუშევსკის მეთოდით, მაგრამ რაკი ბოლო დროს შერყეულ იქმნა იკი ბ. შახორტროცკის მძლავრის კრიტიკით, ზოგიერთა მასწავლებლებმა თავი მიანებეს ამ სახელმძღვანელოს და იწყეს ელემენტარული არითმეტიკის სწავლება ბოლდენბერგის მეთოდით. ბოლდენბერგის არითმეტიკის კრებული იმითი განსხვავდება მეტუშევსკის არითმეტიკის კრებულისაგან, რომ პირველში უმთავრესი ყურადღება მიქცეულია არა რიცხვების შესწავლაზედ, არამედ მოქმედების შესწავლაზედ. ამ ხანებში, როგორც მკითხველსაც მოეხსენება, მართულს ენახედაც გამოვიდა ახალი ელემენტარული არითმეტიკის კრებული, რომლის სათაურიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. ამ კრებულის მეთოდიც, როგორც ბოლდენბერგისა, ნაყოფია ახალი პედაგოგიურის მიმართულებისა, მაგრამ პირველი იმითი განსხვავდება მეორისაგან, რომ იგი, გარდა მოქმედების შესწავლაზედ დამყარებულ არითმეტიკის ამოცა-



ნებისა, შეიცავს აგრეთვე სათვითმოქმედო ვარჯიშობათაც, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვსთ პირველ დაწყებით სკოლაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბავშვების სათვითმოქმედო ვარჯიშობათა მნიშვნელობასა და მიზანზედ ნათელი წარმოდგენა აქვსთ მხოლოდ იმ მასწავლებლებს, რომელნიც არიან გამოცდილნი და განვითარებულნი სწავლების საქმეში, ხოლო დანარჩენი უფროს ერთი მასწავლებლები კი ისე უყურებენ მათ, როგორც უბრალო დისციპლინარულ ზომებს და არა სასწავლო სამუშაოებს, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვსთ მასთან, რაც პირველში უსწავლებია ანუ გადაუტია მოწაფეთათვის მასწავლებელს. ბატონი ნატროვეს კრებულში ცხადად არის განმარტებული, თუ როგორ და როდის უნდა მიაძლიონ მასწავლებლებმა მოწაფეებს სათვითმოქმედო ვარჯიშობანი, რომ მათ ჯეროვანი სარგებლობა მოუტანონ მოწაფეებს. აღნიშნული კრებული კიდევ იმითია საყურადღებო, რომ იგი, სხვათა შორის, შეიცავს ელემენტარულ უმარტივეს ნაწევრებსაც. უწინდელ სკოლას უმარტივეს ნაწევრების სწავლება ჩაღაც საშიშოდ და საძნელოდ მიაჩნდა, მაშინ, როდესაც მათი სწავლება ფრიად საინტერესო და საადვილოა ბავშვებისათვის, თუ კი მათ პრაქტიკულად და სათვალწინოდ განუმარტავს მასწავლებელი. საზოგადოდ ბ. ნატროვეს კრებულის ყველა ნაწილები ხელოვნურად არიან შემუშავებული და ბავშვებისათვის სრულიად გასაგების ენით განმარტებულნი. მხოლოდ აქა-იქა შეხედება მკითხველი ცოტა სახამუთო და საძნელო სიტყვებს, მაგ. «დუქარდი», «კვირტი» და სხვ. მაგრამ ეს ნაკლებულევანება ადვილად გასწორდება და მკითხველს შერჩება ხელში სრულიად განსპეტაკებული და ჩინებული ელემენტარული არითმეტიკის სახელმძღვანელო, რომელიც უნდა ჩაითვალოს ძვირფას განძად ჩვენს პედაგოგიურს ლიტერატურაში. ეს წიგნი შეადგენს პირველს ნაწილს არითმეტიკის კრებულისას, რომელსაც ზედ მოჰყვება მეორე ნაწილიც.

ა. ა.

გრაფი დიმიტრი ანდრიას ძე ტოლსტოი.

(ნეკროლოგი).

25 აპრილს, ნაშუადღეის ხუთ საათზე, სასტიკი ავად მყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შინაგან საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტი საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიისა, დეის. ტაინ. სოვეტ. გრაფი დიმიტრი ანდრიას ძე ტოლსტოი. განსვენებული ხუთმეტ წელიწადზე მეტი მსახურება უწმიდესი და უმართებელესი სინოდის ობერ-პროკურორად და ბევრი იღვაწა მართლ-მადიდებელი სამღვდელოების სასარგებლოდ. უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორად მყოფობის დროს განსვენებულმა გადააკეთა და ძირეულად შესცვალა როგორც უმაღლესი, ისე საშუალო და დაბალ სასულიერო სასწავლებელთა წესდება, და მოუწოდა ეპარქიალურ სამღვდელოებას ეზრუნა თავიანთ შეიღების აღზრდაზე და უფლება მისცა მათ მსჯელობა ჰქონებოდათ ხოლმე სასულიერო სასწავლებლების საჭიროებათა ზედა ოლქის და საზოგადო ეპარქიალურ კრებებზე. სასწავლო საშუალებათა გასაძლიერებლად, რომ სასულიერო სასწავლებლებში მოეწვია უფრო მომზადებულნი პირნი, განსვენებულმა გრაფმა გამოითხოვა ყოველ წლივით სახელმწიფო ხაზინიდან უწმიდეს სინოდის საშუალებათა გასაძლიერებლად მილიონ ნახევარი მანეთი. ამასთან განსვენებულმა გრაფმა ნებართვა მისცა ეპარქიის მღვდელთმთავრებს მათდამი რწმუნებულ ეპარქიებში საეპარქიო საქალებო სასწავლებლების გახსნისა, რომ ამ სასწავლებლებში საღვდელოების ქალებს მიეღოთ შესაფერისი აღზრდა. თითქმის ყველა ეპარქიებში განსვენებული გრაფის მეცადინეობით ახლად აღშენდნ სასულიერო სასწავლებელთათვის შენობები თანახმად პედაგოგის მოთხოვნილებისა. მანსვენებულმა გრაფმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე შტატ გარეთ დარჩენილ სამღვდელოებასაც. მან იშუამდგომლა უმაღლესი მთავრობის წინაშე, რომ დამსახურებულ

შტატ გარეთ დათხოვილ მღვდლებს დანიშნულა პენსია. შეეღა ეს ზომები და მოქმედებანი ცხადად გვიჩვენებენ, თუ რამდენად გონიერი კაცი იყო განსვენებული და რამოდენად პატივს სცემდა იგი მართლმადიდებელ სამღვდლოებას, ამიტომ განსვენებულის სახელი დაუფიწყარი დარჩება სამღვდლოებაში.



საისტორიო მასალა.

1650 წელში საქართველოში მოგზაურობა შეეფასა ალექსი მიხაილის ძის მიერ გამოგზავნილ დესპანთა იმერეთის მეფე ალექსანდრესთან და ამ დესპანთაგან გელათის მონასტრის და ქუთაისის ბავრატის ტაძრის აღწერა და ამ ტაძრებში მათგან ქათალიკოსის წიგნის მოსმენა.

1620 წ. რუსეთის მეფე ალექსი მიხაილის ძეს ერთა წება დესპანი გაუგზავნია შაჰ-აბაზთან და მეორე 1650 წელში იმერეთის მეფე ალექსანდრესთან. პირველად აღწერა ჩვენ ამ დესპანთა მოგზაურობას საქართველოში და შემდეგ სხვადასხვაში.

იმერეთის მეფე ალექსანდრესთან გამოგზავნილი დესპანის წიგნი გამოსულან მოსკოვში 22 მაისს 1650 წელს. დესპანის უფროსი უფიქროსი ნიკოლოზი მათეს ძე ტალაჩანოვი, რომელსაც შეუდგენა თავის მოგზაურობის აღწერილობა, რომლისაგანაც ჩვენ მოგვუგვს ქვემო აღწერილი საისტორიო ცნებანი. დესპანის ხელით მეფე ალექსი მიხაილის ძეს მრავალი ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნია იმერეთის მეფეს ალექსანდრესათვის. ამ საჩუქრებში შესანიშნავი უფიქროსი ძვირფასი სამეფო მასალა (შეკერილი სასამურის ტუპისაგან). დესპანი მეფის ბრძანებით წასულან მდინარე კოლგით, გამოუვლიათ ვაზანში და ნ სექტემბერს ჰიუსულან ქ. ასტრახანში. გზაზე დესპანს მეფეს ბრძანებით ხელბიან მტკვლები და ვეკვან ადგილობრივ მთავრებთან მიწერილობა წიგნებით მეფისაგან, რომ მათთვის შემწეობა აღმოეჩინათ მოგზაურობის დროს.

სექტემბრის 27, სწორედ იგინი, გავემგზავრეთ ზღვით და ამავე თვის 28 მივიდით რანსტრუში. აქ დავეჩინო ცოტა ხანს. აქტომბრის 1 წავიდით ბაქაშებით, ამა ერთად, დესპანის წიგნი, ზღვის დედად დაგვამოხა ერთმანეთს და 18 აქტომბერს ძლიერ შევხდით ერთი-ერთმანეთს.

აქტომბრის 24 გაუგზავნეთ კაცები თარჯიმანი ივანე ტიზინევი და ერთი მღვდელი და სხვანი იმერეთის მეფე ალექსანდრეს და ვაგნობეთ ჩვენი მოსვლა და ვსთხოვეთ, რომ გამოგზავნათ ჩვენ შესაგებებლად დანდობილი პირები თერგში.

რც-და-ათსს აქტომბრიდან ვუტადეთ აქ მეფის კაცებს რც-და ერთ ანკრამდის. ამ დღეს მოვიდა იმერეთიდან თერგის ქალაქში ჩვენგან გაგზავნილი თარჯიმანი ივანე ტიზინევი და მას თან მოგვუგა მეფის ალექსანდრესგან გამოგზავნილი კაცი აზნაური ალექსანდრე უჩინელი წერილით. თარჯიმანმა ივანემ მოგვითხროს ის გაჭირება, რც მას გამოეცადა იმერეთისაგან მოგზაურობის დროს გზაზე და ის, თუ რა პატივის ცემით აქმნა იგი მიღებული მეფისაგან. რც-და-სამს ანკარს ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილმა კაცმა გამოგვიცხადა: «თქვენგან გამოგზავნილი თარჯიმანი ივანე ტიზინევი და სხვანი გამოცხადდენ ჩვენი მეფის წინაშე და მოასწერეს მას თქვენი აქ მოსვლა. მეფე ალექსანდრეს ძალიან იამა თქვენი მოსვლა და აი მოგანთვით ჩემის ხელით წერილი და გთხოვთ მოიცადეთ აქ აზნაურის თქვენი და ნაადდგომეკს წამობრძანდეთ იმერეთში.»

ნაადდგომეკს, 15 აზნაურს გავემგზავრეთ თერგიდან და თერგის მთავარმა მიხაილ შხეტინმა გაგვატანა მტკვლები ქვეითი და ცხენოსანი, სულ 120 კარამდე; ჩვენ შევუყვებით თერგის პირს და უშაშხად მივასწიეთ აზნაურის კაბადლომდე.

აქ შევხდენ აზნაურის მთავარი წაყარევი მურჯა და მისი კენამეტი — ძეებით და მისწულებით და ვეკვან დიდის პატივისცემით მივივდეს, გვიჩვენეს კარგი გზა, გაგვუვლეს გამოცდილი კაცები, დაგვარბეს, თუ როგორ მოქცეულიყუით, რომელ ცუდ გზას და ადგილს ავმოჩნებოდით — და ასე პატივისცემით გავისტუმრეს.



29 მაისს მოკვდით ბოლხარში, სადაც შეგვეპატიო
 ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი ორი კაცი აზნა-
 ურნი მამუკა ჯაფარიძე და იურია უსნიელი წერილით.
 საჩუქრების წასაღებათ შეგვეპატიო 273 კაცი.

მაისის 31 ჩვენ და იმერეთის მეფის ალექსანდრეს
 გან გამოგზავნილი შიშები ბოლხარდგან გავემგზავრეთ
 მთებისაგან. სამს იენისს შეგვსდა ალექსანდრე მეფისაგან
 გამოგზავნილი ცხენები და დიდის გავრებით გადმო-
 ვიარეთ საშინელი მთა-გორაკები. გზაში ბევრი ცხენები
 დაგვესტა. ამგე დღეს შეგვსდა ორი კაცი აზნაურნი,
 მეფე ალექსანდრესაგან გამოგზავნილნი, რომელთაც გა-
 მოგვიცხადეს, რომ ჩვენ მივსულიყავით მეფის ერთ-
 გულ აზნაურ ლომკაცა ჯაფარიძესთან და გიორგი არი-
 სუხასთან. ამ შიშებიდგან ჩვენ წავიდით ქალაქ თეგრისში
 გიორგი უსნიელის მამულში. ქალაქი თეგრისი მდებარე-
 კობს მდინარე რიონს გაღმა ერთ მთა ადგილზე, სა-
 დაც თხუთმეტადეა ქვის ეკლესია და ზალატები. ხუთს
 იენისს უსნიელის მამულიდგან მივედით ლომკაცა ჯაფა-
 რიძის მამულში სოფელს მაცხკვარს. გზათ გავიარეთ
 ოც-და-ათი სოფელი. ყველა სოფლებში არის ქვითგირის
 კოშკები და ზალატები ზარბაზნის სასროლებით. შვიდს
 იენისს გავიარეთ ორმოც-და-ათი სოფელი. ამ სოფლებ-
 ში კარგი სასლები, კოშკები და ზალატებია ზარბაზნის
 სასროლებით. ამ სოფლებში ეკლესიები ზოგი ქვითგი-
 რის არის და ზოგი ხისა, მაგრამ ზარბაზნი არც ერთზე
 არ არის.

ცხრა იენისს გავემგზავრეთ მიტროპოლიტის ზა-
 ქარიას მამულში. თვითონ მიტროპოლიტი სცხკვარებდა
 ქ. ქუთაისში მეფის ალექსანდრეს სასახლეში. ამ სო-
 ფელში ქვითგირის ეკლესია არის აღშენებული ყოვლად
 წმ. ღვთის-მშობლის სახელზე. ამ ეკლესიის მახლობ-
 ლად მდებარეობს მიტროპოლიტის მამული. აქ სმინად
 ხედავთ ქვითგირის კოშკებს და ზალატებს, რომელნიც
 მოწყობილნი არიან მტრთაგან თავდაცემის დროს თავ-
 შესაფარებლად. 10 იენისს მიტროპოლიტის მამულიდამ
 გავემგზავრეთ და მივედით ალექსანდრე მეფის სოფელში;
 ამ სოფელში მეფის ალექსანდრეს მისაღებად აღშენებუ-
 ლი იყო თეგრული სადგომები. აქ შუაგულ ადგილს

აღშენებულია იოანე ნათლის-მცემლის სახელზე ეკლესია.
 მეფის სასახლეს გავლით, მდინარე კრისულას გაღ-
 მა არის მშენიერი ტაძარი მთავარ-ანგელოზის მიხაი-
 ლის სახელზე. ეკლესიაში ყველა ხატები მოჭედებულნი
 არიან ვერცხლითა და გვირგვინები მოქუქნილნი. მეფის
 სასახლე სდგას მდინარე რიონსა და კრისულას შუა. აქ
 აჩქიებისკობსმა სომხმა გამოგვიგზავნა კაცი და
 გეტხვავა, რომ მეორე დღეს მივსულიყავით ტაძარში
 წირვის მოსამეხად.

როდესაც ჩვენ, დესპანს წვერნი, მივედით ტაძარ-
 ში, აჩქიებისკობსის სიმონი შეგვეპატიო ჩვენ ტაძრის
 წინ. ეკლესიაში, სამეფო კარების მარჯვენა მხრით
 სდგას აჩქიებისკობსის ვერცხლის კვერთხი, მშენიერ-
 დ მოჭედელი. კვერთხს თავზე ქვსპატრას ვიდობანი,
 რომელშიც, როგორც აჩქიებისკობსმა გვიამბო, ინა-
 ხების ნაწილები ინდრია მოციქულისა და მოწამე ესტა-
 ტესა და სხვთა. ეს კვერთხი დააქვით ხალხე ყოველ-
 თვის აჩქიებისკობსის წინ. ამ ეკლესიაშივე სამეფო
 კარების მარცხენა გვერდით ასკენია ღვთის-მშობლის ხა-
 ტი, ოქროსაგან გაკეთებული და ძვირფასი ქვებით მო-
 ჭედელი.

წირვის გათავებს შემდეგ აჩქიებისკობსმა სა-
 მონმა სადღად მიგუბატყა. სადღზე მსმა მეუფებამ
 აცლა ღვინით სავსე თასი, წარმოადგა თვსზე და მიიწთვა
 სადღეობდელ მათი დედებულების ალექსი მიხაილის ძისა,
 შეგვედრა მათთვის დედისა და შემდეგ ჩვენ, დესპანის
 წვერთა, გვითხრა შემდეგი მოკლე სიტყვა: «როცა იმე-
 რეთის მეფე ალექსანდრემ შეიტყო, რომ რუსეთში მე-
 ფობს ალექსი მხაილისძე, ქრისტიანი ხელმწიფე, მამინ
 მან გაგზავნა რუსეთში თავის დესპანი და სთხოვა მეფე
 ალექსი მიხაილის ძეს, რათა მას კეთილ ენებობა და თავის
 მთავრელობასა ქვეშე მიეღო მეფე ალექსანდრე, რომ ამ
 სახით უფრო მტკიცედ დაეცავთ მართლ-მადიდებელი სა-
 წმუნოება. ესა ჩვენ გხედავთ თქვენ, მათი დედებუე-
 ბის დესპანთა და ძლიერ მხარეული ვართ და ვსკამთ
 სადღეობდელს, რათა იგი დადა, ხელმწიფე ალექსი
 მიხაილის ძე იყოს ჯანმრთელ და დღეობდელ, ხალხ
 ჩვენ ღვთის მავკდრებულთადმი იყოს მწყალობელ».



ამის შემდეგ მისმა მეუფებამ ყველას სთხოვა ამ სად-
 ლეგრძელს მიღება. შემდეგ ამ სადლეგრძელისა ჩვენი
 დებსანის წვერთა დალიეს სადლეგრძელთ იმერეთის მე-
 ფის ალექსანდრესი და მათი მეუფებისა. ნასადილეებს
 წავედით ჩვენს ბინასე. აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ
 აჩქაუბისგოპოსის სოფელში არიან ქრტიანისა და ხის
 ეკლესიები; არიან კოშკები და პალატები.

იენისის 16 ამ სოფლიდან წავედით მეფე ალექს-
 სანდრეს ქალაქში, რომელიც მდებარეობს რაჭაში. ეს ქა-
 ლაქა მიცემული აქვს ქართლის მეფეს თეიმურაზს საც-
 სოვრებლად და საჩინოდ. ამ ქალაქში არის მშვენიერი
 ქვიტიანის ეკლესია წმიდა ნიკოლოზის სახელზე. ეკლესიის
 კედლებზე გარედან მშვენივრად არიან ამოჭ-
 რილი ყველა საუფლო დღესასწაულები, წინასწარ-
 მკითხველი, მოციქულები და მოწამენი. შიგნით ეკლესი-
 ასა დასატუღია; ხატები შემოსილინი არიან ოქროითა
 და ჩასვენებულნი არიან ვერცხლის კიდობნებში. ყველა
 ხატები მოჭედნი არიან ძვირფასი თვლებით. საეკ-
 კლესიო ჭურჭლები, ბარძიშ-ფეშხუმი და ტახტის
 ჯვარი არიან ოქროსა და სხარება მოჭედნი ოქროს-
 თი. ეკლესიას გარშემო შემოკლებული აქვს ქვიტიანის
 ზღუდე. გალავანს ორის მხრით აქვს შესავალი. ამ ეკ-
 კლესიაში დამარხულნი არიან მეფის მახლობელი და
 ნათესავნი, რომელთა საფლავები გაკეთებულნი არიან
 ეკლესიის კედლებში და დაფარულნი არიან ატლასითა
 და ხაგერდითა. ამ ეკლესიას განაკებს მიტროპოლიტი
 დაკითი. მათი მეუფების გამგეობაშივე არის ორა მო-
 ნასტერი და მრავალი სოფლები. სოფლებში ეკლესიები
 არიან ქვიტიანისა და მასთან ისე ადრან მოწუობილინი,
 რომ შემდლათ გაუმარჯვენ მტერთა მათა თავდასხმის
 დროს. მეფის ეზო ძალიან დიდია და ირგვლივ მთელს
 ეზოს შემოკლებული აქვს ფაჯის შენობები. აქ ცხოვ-
 რებს მეფე თეიმურაზი დედოფლით და თავისი შვილი-
 შვილებით. თეიმურაზ მეფესთან ზერკველ მისვლასუდ
 ჩვენ გავახიერეს ნასეკა ვერსის მანძილზე. მეფე თეი-
 მურაზსა შემოგვარება კაცი და იგიოხა ჩვენი მშვიდობა.
 რაგორ მიგვიღო თეიმურაზსა და ან რაზე გვიჩუბრა
 იტი, უოკვლივე ეს აღწერილია ცალკე.

20 იენისს მეფე თეიმურაზისაგან და რაჭიდან გა-
 ვემოვარკეთ მეფის ალექსანდრეს სატასტო ქალაქს ქუ-
 თაისში. ჩვენ თან გავუყვამიტროპოლიტი დაკითი. რომელსაც
 ქუთაისში მივედით, ჩვენ დაგვარენეს ქალაქის გამრღმა ერთ
 გოზა ადგილზე მეფის კარებში მდინარე რიონის მხ-
 ლობლად და აქ დაურჩით ორი დღე. აქ მეფის სასახლი-
 დამ დიდის პატრიარქით გეოზიდავდენ სსმელ-საჭემეს.
 23 იენისს მეფე. ალექსანდრემ გამოგვარენა ჩვენთან და-
 დობილი პირი, რომ აქედან გადავსულიყავით სხვა
 აღნიშნულს ადგილზე.

25 იენისს ჩვენ ვსთხოვეთ მეფე ალექსანდრეს,
 რომ მას მივედეთ და გამოგვარენათ ცხენები და კატები
 მეფის ალექსი მიხეილის მისაგან გამოგვარენილი სახურჭების
 მისაღებად. იმავე დღეს მეფე ალექსანდრემ გამოგვარენა
 ცხენები და კატები. ჩვენ გადავთვალეთ ყველა ნივ-
 თები, შევამოწმეთ იენის სიებთან და ჩავბარეთ ბო-
 ქაულს მამუკა ჯაფარიძეს და იურია უნხელს. იმათ ეს
 ნივთები გადასცეს ჯარის კატებს წასაღებად. ზარკველად
 მიჩქარდით სამეფო მოსახლამი, ერთს ეკავა ხელში მალ-
 ლა მეფის გრამატა და ჩვენ ცხენებით გვეყვით მათ
 უგან და რაჭა მეფის სასახლის ეზოს მიუახლოვდით,
 მეფემ შემოგვარება კაცი და გვიბრძანა, რომ შეგხერე-
 ბულიყავით ცოტა ხანს. ამ დროს დედოფალი ბრძანდე-
 ბოდა წარჩინებულ პირებთან ერთად სხვა სადგომებში
 და იქედან გვიტყვეროდა, რომელსაც მეფის სასახლეში
 მივდიოდით. რაჭა სასახლეს მიუახლოვდით შეიქმნა
 ქალაქის ყველა ცხენებიდან წარბასნების გრამალი. მე-
 ფის სასახლიდან ვიქნებოდით ათ საუენზე, რაჭა გვიბრ-
 ძანეს, რომ ცხენებიდან ჩამოვსულიყავით და ფეხით
 წავსულიყავით. ზირკველად სასახლიდან მოგვარება მიტრო-
 პოლიტი წაქარა და იერუსალიმიდან მოსული გოლგო-
 თის მთის იგუმენი ნიკოფორე. მთ მთავითსეს მეფე
 ალექსი მისაილის მე და წავგიძღვენ მეფესთან და, რაჭა
 თვით მეფესთან მივედით, ჩვეულებისაებრ, თაყუნი ვე-
 ცით და მეფე ალექსი მიხეილის მისაგან მოვასხენეთ
 მოკითხვა. იმერეთის მეფე ალექსანდრემ გვიითხა მეფის
 ალექსი მისაილის მის მშვიდობა და, რომელსაც მოვასხე-
 ნეთ მათი დიდებულების მშვიდობა და მივართვით მე-
 ფის გრამატა, მეფე ალექსანდრემ მიიღო გრამატა და
 ბეჭედზე ეამბორა, ცოტა ხანს დაიდვა თავზე და შემ-

დგებ გადასტა თავის კაჩის კატს. ადიპურა ხელნი დგოი-
სადმი და ძლიერ იაზა მეფე ალექსა მისაილის ძის მშვი-
დობით უფონა. უფურსმა დესპანმა ნიკიფორემ მოას-
სენა მეფე ალექსანდრეს მისგან გაგზავნილი გრამატის
შინაარსი*). ამის შემდეგ თვითუღმა ჩვენგანმა მოასსე-
ნა მეფეს სიტყვა. მეფემ გვიბძანა დასსდამა დანაშ-
ნულ ადგილებზე, მაგრამ ჩვენ მოკახსენეთ,
რამ დასსდამა არ შეგვიძლია, ვიდრემდის
ჩვენის მეფას და ხელმწიფის ბრძანებისაებრ არ გავსდე-
ბით დიქსი თქვენის ხელის ბოძებისა. მეფემ მოგვცა
ხელი და შემდეგ მიგვავატყა სადილზე. ჩვენ უმკლამ
გამოვიტყვეთ ტანთ-საწმელები და ისე წაკვდით სადილ-
ზე.

(შემდეგი იქნება).

ახალი ამბები და შენიშვნები.

ზარმაცობა და ცუდ უბრალოდ დროს დაკარ-
გვა ხშირი მოვლენაა ჩვენს, ესრედ წოდებულს, მო-
წინავე საზოგადოების წევრთა შორის. ამისათვის ქალა-
ქებში მართავენ კლუბებს, რომ მათში უსაქმო პირთა
დრო გაატარონ. ამ ბოლოს დროს, სამწუხაროდ,
ამისთანა კლუბების დაარსება შემოიღეს დაბემშიაც.
პეილოთ მაგალითად დ. ყვირილა, სადაც დიდის ქაპან-
წყვეტით დაარსეს «უსაქმო კაცთა და ქალთა თავშესაკრები
სახლი», რომელშიაც საღამოდგან თითქმის გათენებამ-
დის არის ერთი გახურებული «ბანქოს» თამაში. ვი-
საც კი გააჩნია ორი კაპეიკი, აქ აგებს კარტში. ზო-
გიერთი პირები, რომელთაც თავისი პირ-და-პირი მოვა-
ლეობის შესრულებისათვის წელი წყდებათ, ამ კლუბში
მთელს ღამეს უძილოდ ატარებენ. მართი ვაჭბატონი

*) გრამატის შინაარსიდან სჩანს, რომ იმერეთის მეფე
ალექსანდრეს, სხვათა შორის, უთხოვნი რუსეთის მეფე ალექსი
მისაილის-ძისათვის შემწეობა და დახმარება ურწმუნოთა წინა-
აღმდეგ, რომ მათი შევიწროებისაგან არ შესუსტებულიყო
მართლ-მადიდებელი სარწმუნოება.

ამ კლუბში კარტის თამაშმა საუკუნოდ გამოათხოვა
ყვირილას. ნეტავ როდის ისწავლიან ეს ჩვენი «მე-
კლუბენი», რომ დრო ფულია და არავეის ერთი წა-
მი თავისუფალი დრო არა აქვს, თუ კი კაცურად
ცხოვრება სურს ქვეყანაზე?...
* * *

ღაბა ყვირილაში ამ დღეებში მოხდა ერთი სა-
ზიზლარი შემთხვევა. ვილაცა ბოროტმა პირებმა განი-
ზრახეს ერთის ყველასაგან პატივცემულის ფრანცუ-
ზის მოკვლა და ამ მიზნით მას სახლ-ქვეშ დინამიტი
შეუგდეს და უფეთქეს. დინამიტმა სახლი შეანძრია,
ორპირი იატაკი სახლისა შეამტვრია, მაგრამ, რადგან
დინამიტი საწოლი ადგილის მახლობლად არ იყო
შეგდებული, ამ კაცს არა დაზარებია რა. მს ანბავი
მოხდა შორაპნის მაზრაში და ამიტომ ზოგიერთ ჭკუა
მოკლე პირთ დამნაშავედ მიაჩნიათ ვინმე ადგილო-
ბრიე მცხოვრებთაგანი. მაგრამ საზოგადოების თვალში
დამნაშავედ ითვლებიან უცხოელნივე, რომელნიც ზე-
მო აღნიშნულ პირთან ერთად აწარმოებენ მარგანე-
ცის საქმეს ჩვენში.

შორაპნის მაზრაში, ჩვენდა სამწუხაროდ, სო-
ფელს ალლისუბანში აზნაურის ნიკო ჩიკვაძის მა-
მულში აღმოუჩენიათ ვენახის ჭირი ფილოქსერა.
მს სენი ისეთი საშიშარი რამ არის, რომ მისგან ვე-
ნახის გადარჩენა არას საშუალებით არ შეიძლება.
მართად ერთი საშუალება ამ სენის წინააღმდეგ არის
ის, რომ ის ვენახი, რომელშიაც ფილოქსერამ იჩინა
თავი, უნდა მთლად ძირიანად გადასწვან. ქველა
მემამულემ მკაცრი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ
ვენახის ჭირს და ეცადოს, რომ ადგილობრივ მოს-
პოს იგი.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ოლქის
სამღვდელოების დეპუტატთა კრება, როგორც ისმის,
დანიშნულია მომავალი სექტემბრის თვის პირველ

რიცხვებში. ამ კრებაზე სამღვდლოებს დიდი გამჭრიახობა და მოფიქრება მართებს თავის სასულიერო სასწავლებლის გაუმჯობესების შესახებ. სამღვდლოების დეპუტატებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სასწავლებლის შესავალ-გასავალს, როგორც სამღვდლოებაც დარწმუნდა, დასაწყისი მოსამზადებელი კლასის დახურვა არ დარჩა სასარგებლოდ და ამიტომ საჭიროა სამღვდლოებამ მოიფიქროს თავისი შეცდომის გასწორებაზე. რადგან სამღვდლოების შორის ხელახალი გაწერა მოხდა სასწავლებლის შესახებ ფულისა, ამიტომ საჭირო აღარ იქნება ახალი ხარჯის გაწერა ამ მოსამზადებელი კლასის შესახებ.

* *

სოხუმის კათედრაზე, როგორც გაზეთებიდან ვეცუობილობთ, დაუნიშნავთ ეპისკოპოსად წინამძღვარი მლადიმირ-მოლინის მონასტრისა არქიმანდრიტი ალექსანდრე.

* *

სევანეთის ბლალოჩინი დეკანოზი მამა იოსებ შაქაძე ვეთხოვს გამოაცხადოთ გაზეთში შემდეგი: «სევანეთში, სოფლის ბეჩოს სამრევლოში არის თავისუფალი ადგილი დიაკვნისა. ამ ადგილზე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, ყოვლად სამღვდლო გრიგორის ვანკარგულებით მოიწოდება პირი, რომელსაც უნდა ჰქონდეს სწავლა დამთავრებულ ან სამოსწავლო სემინარიაში და ან ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში და მასთან იცოდეს საეკლესიო წიგნების კარგად კითხვა და ტიბიკონი. ამ ადგილზე ჯამაგირი არის 250 მანეთი, ხოლო სხვა შემოსავალი არა ვითარიმე არ არის. მსურველნი უნდა მიიქცნენ თხოვნით გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგორისთან და თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ საჭირო საბუთები».

* *

ამას წინეთ მოსკოვის ნოქარებს და მათთან ერთად ვაჭრებს, სულ 1,200 კაცს, ოხოენა მიურთმევიათ უწმიდესი და უმართებელესი სინოდის ობერ-პროკურორისათვის და უთხოვნიათ, რათა დადგენილი იქმნეს კანონი, რომლის ძალით კერია-დღესასწაულ დღეებში სრულიად მოისპოს ვაჭრობა. ამ მიზნით შემოდ აღნიშნულ პირთ სამი კაცი გაუგზავნიათ პეტერბურგში ობერ-პროკურორთან პირ-და-პირ მოსალაპარაკებლად. მს გაგზავნილნი პირნი უკვე დაბრუნებულან მოსკოვში და უამბნიათ თავიანთ მარწმუნებლებისათვის, რომ ობერ-პროკურორმა აღუთქვა მათ ამ საქმეში დახმარება.

* *


წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასის ორ განყოფილებაში ათავებენ კურსს სულ ორმოც-და-ათ მაგირდამდე. იმედია, რომ ამ მოწაფეთაგან უმეტესი ნაწილი გაიგზავნება სემინარიის პირველ კლასში.

* *

მომავალი სექტემბრის თვიდან თბილისის სასულიერო სემინარიის მეხუთე ნორმალურ კლასთან, როგორც ამბობენ, უნდა გაიხსნას პარალელური განყოფილება. ამ განყოფილების შესახებ საჭირო იქნება ახალი ხარჯი, რომელიც, უეჭველად, მოეთხოვება იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდლოებს.

* *

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წინადადებით «მწყემსი»-ს რედაქტორი დეკანოზი დავით ლამბაშიძე აბეჭდვებს პარაკლისის ახალს წიგნს, რომელიც ამ მოკლე დროში გამოვა და დაურიგდება ეკლესიებს. მითო ცალი ამ წიგნისა ელირება ცამეტჯი შაური. დეკანოზს ლამბაშიძეს აქვს აგრეთვე განზრახვა გამოსცეს სამრევლო სკოლებში სახმარებელი შემოკლებული «ქამნი» და შემოკლებული პატარა კონდაკი.





ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ო ნ ო ბ ა ე ბ ი .

ჭიანჭველების გასაწყვეტი საშუალება. — რამდენად

ნადაც ჭიანჭველა სასარგებლოა ბაღებში და ტყეში, იმოდენადვე უსიამოვნო და მოსაბეზრებელია, როდესაც სახლებში გაჩნდება ხოლმე, მეტადრე იმ ადგილებში, სადაც მურაბები, შაქარი ან სხვა რამ ტკბილი საქმელი აქვს შენახული. მომეტებულად ხშირად გაჩნდება ხოლმე ჭიანჭველა სოფლებში, აკაკებში. მაგრამ ერთი უბრალო და საუკეთესო საშუალება არსებობს ამ უსიამოვნო სტუმრების გასაწყვეტად. ამისათვის საკმარისია იმ ადგილებზედ, რომლებსაც უფრო შეეჩივნენ ჭიანჭველები, აგრეთვე ის ნაჩერეტები და, საზოგადოდ, იმ ადგილებზედ, საიდანაც ჭიანჭველები შედიან განჯინებში, სადაც მურაბები ან შაქარი აქვს შენახული, დააყარონ შაქრის ფხვნილში გარეული წვრილად დანაყილი ბაგრაუკი (ბურა). ეს წამალი ისე კარგად მოქმედებს, რომ ჭიანჭველები ძალიან მალე და სრულიად გაწყდებიან და დიდხანსაც აღარ გაჩნდებიან ხოლმე.

მეხისაგან გაფრთხილება. ბაშლილ ალაგას სადმე თუ მოასწრო ჭექა-ქუხილმა, ხეებზედ, თივის ძირებზედ და ცხოველებზედ შორს უნდა დაიჭიროს კაცმა თავი. (შიზიკოსი ლინტენბერგი ითხოვდა კიდევ, რომ ყველა ხეზედ ფიცარი მიეკრათ ამ წარწერით: «გაფრთხილდი, თორემ შეიძლება აქ მეხი დაგეცეს»). უნდა ეცადოს მიდამო საგნებზედ მაღლა არ იყოს, რომ ღრუბლებიდან შედარებით ყველა საგანზედ უფრო მოშორებით იყოს. იმ ქუჩაში მოასწრო ჭექამ, მაშინ შუაგულზედ სჯობია სიარული, თორემ ნაპირებზედ და შენობების გვერდით სიარული საშიშია, მეტადრე საშიშია ბანების ღარებიდან ჩამომავალი წყლის ახლოს გავლა. ჭექის დროს ოთახში ფანჯარებთან დგომა არ ვარგა, აგრეთვე არ ვარგა რკინეულ რამე საგნებთან ახლო ყოფნა, სამხარეთლოში ბუნარს ახლოს

ყოფნაც საშიშია, რადგან მქვერტლი ელვას ძალიან იზიდავს. ჭექის დროს უშიშარი ალაგი ოთახის შუაგულია. საზოგადოდ ქვემო სართული ზემო სართულზედ უშიშარია. იმ ცეცხლი ანთია ჭექის დროს, სამჯობინაროა ჩაქრონ, რადგან ბოლი ძალიან იზიდივს ელექტრონს.

თაგების გასაწყვეტი წამალი ბევრნაირია. სხვათა შორის, კარგად მოქმედებს ჩვეულებრივი უმარილისა ანუ ქლორის კირი. ეს ნივთიერება პრეტყელ რაზედმე რომ დაიყაროს, ნელ ნელა ხრწნას იწყებს, ქლორის განწილვა ხდება და ჰაერს აზავებს და ამისთანა ჰაერს ძალიან ერიდება თავი; აგრეთვე ბუზიც აღარ ეყარება იმ ოთახს, სადაც ამისთანა ჰაერია. ამას გარდა შემდეგ საშუალებასაც აქვებენ. პურის მარცვლი ანუ სორსალი მუხის ხის მაგარ ტუტაში უნდა ჩაიყაროს ერთი დღე ღამით, რომ მით გაიყენთოს, და შემდეგ თავის სოროებში ჩაიყაროს. იმ მინდორშია გაჩენილი თავი, ის სორსლები ან მარცვლი მინდორშიაც რომ მოიფანტოს, თუნდაც მოსულ ყანაზედ, თავი გასწყდება.

რედაქციის პასუხი.

- თ. ქ. გე—განს. თქვენი სტატია ძალიან დაგვიანებულა. საქმე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისა ისე გათავდება, როგორც დემუტატების ნამეტანმა ნაწილმა გადაწყვიტა.
- მღვ. ს. ხახუტავს. ხუთი მანეთი ამ წლის გაზეთის ფული წარსული წლის გაზეთის ფულის ანგარიშში მივიდეთ, ამ წლისათვის გთხოვთ ფული გამოგზავნათ. გაზეთს და სახელმძღვანელო წიგნს გიგზავნით.

ი ს ყ ი დ ე გ ი ა ნ

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ბრიჭუროვის, ჩარკვიანის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში — ძმ. შილაძეების წიგნის მაღაზიაში, ოსურგეთში — ლომკაცი აბაშიძის და იოსებ ხელაძის წიგნის მაღაზიაში, ხონში — წერეთლის წიგნის მაღაზიაში და ყვინაღაში — თვით გამომცემელთან.

- 1) საქართველოს საეკლესიო ისტორია. — ფასი უდით 45 კ.
- 2) ქართული ენის წიგნი, თვით მეტყველებით, ქორიკონით და მართლმადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით. — ფასი 30—
- 3) ახალი კარაბადინი, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საეპიშოპოსოსისაგან. — ფასი 1 მან
- 4) მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი. — ფასი უდით . 25 კ.
- 5) ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება. — ფასი უდით . 50—
- 6) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი . 25—
- 7) გაენათის მონასტერი & ცხოვრების აღწერა მეფის დავით აღმაშენებლისა. — ფასი 30—
- 8) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე & მოწამეთის მონასტერი. — ფასი . 5—
- 9) პასილი ღიღი, სურათით. — ფასი . 2 კ.

- 10) მირამა უშლინა, ,, ,, . 2—
- 11) ღიღ-მარხვის წინ, ,, ,, . 2—
- 12) ხარება ყოველად წმიდა დავითის მშობლისა. — სურათით 2—
- 13) ბუმბუკა. — სურათით 2—
- 14) ალღომი. — სურათით 2—
- 15) პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან 5—
- 16) მამია სოლომონ-ბრძენი, — სურათით . 5—
- 17) ცხოვრების აღწერა წმ. მოც. სწოლდის მთავრის ვლადიმირისა . 2—
- 19) წმიდა ნინო ქართველთა-განმანათლებელი . 2—
- 20) შიო-ძღვანის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღიღისა მამიას შიოსი 5—

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს ანაწილებად ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 15 კ. ვინც 2 კ. წიგნებს დაიბრებს ანაწილებად ასი წალისა, ის ფასტის გასაგზავნს ან ისღის.

ყვინაღის წმ. იოანე ნათლის-მცემლის ეკლესიასთან იმეკონება საეკლესიო წიგნთა და ნიკთის საწობა, სადაც მსურველებს შეუძლიანთ ყოველივე საეკლესიო ნიკთის მოიბრუნონ.

შინაწილი: რით უშველეთ საქმეს? — მწარე ფიქრები. — «მწვემსი»-ს კორექსორდენტიები აფხაზეთიდან. — «მწვემსი»-ს კორექსორდენტიები გორის მარცხიდან. — გრაფი დ. ა. ტოლსტოი. — საისტორიო მასალა. — ახალი ამბები და შენიშვნები. — სასარგებლო ცნობები. — რედაქციის პასუხი. — განცხადება.